ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/05

19 მაისი, 2020 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

19 მაისი 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ და განაცხადა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიში 109 ფურცელია და ბიუროს ჩატარების შემდეგ ფიზიკურად ვერ შეძლო მისი წაკითხვა და მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ანგარიში საკრებულოში შემოსულია 2020 წლის 13 მარტს, რომელიც გასაცნობათ საქმისწარმოების პროგრამის საშუალებით ყველა საკრებულოს წევრს გადაეგზავნა, შესაბამისად ვაჟა ბოლქვაძის განცხადება საფუძველს მოკლებულია.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 19 მაისის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 19 მაისის №01-06/05 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილი №13 განკარგულებაში მითითებული ქონების გადაცემის ვადის ცვლილება, რადგან მითითებული 5 წლის ვადა არ არის საკმარისი შემდეგი გარემოებათა გამო, კერძოდ: ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმართულება არის ტურიზმის სფეროში ადგილობრივ დონეზე დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. ასევე, ადგილობრივი თუ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი განაცხადების წარდგენა გრანტის მოპოვებაზე. საგრანტო კონკურსების ერთ-ერთ ძირითადი მოთხოვნა არის ქონება - რომელსაც ორგანიზაცია უნდა ფლობდეს, თუნდაც სარგებლობის უფლებით მინიმუმ 5 წელზე მეტი ვადით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ზემოთ დასახელებულ განკარგულებაში ასახული ვადის ცვლილება და მისი გაზრდა 15 წლამდე, ასევე დაზუსტებული იქნა უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემები, აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით განმეორებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემოსული დოკუმენტი №42/04 18.05.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა აღნიშნა რომ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ის დაფუძნებას არ დაუჭირა მხარი და არც მისთვის ქონების გადაცემას დაუჭერდა

მხარს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შპს-ბი არ უნდა იქმნებოდეს განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელიც პერსპექტიულია და მოგებაზეა ორიენტირებული, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს-ბი გახდება დამატებით ხარჯების მომტანი დამფუძნებლისათვის თავისი ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯზე, ხოლო მომსახურების ხარისხი იქნება დაბალი.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ მოითხოვა განმარტება, თუ რატომ მოხდა ვადის გაზრდა 15 წლამდე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ი მონაწილეობას ღებულობს საგრანტო კონკურსებში, დონორების ერთ-ერთ ძირითადი მოთხოვნა არის ქონება - რომელსაც ორგანიზაცია უნდა ფლობდეს, თუნდაც სარგებლობის უფლებით მინიმუმ 5 წელზე მეტი ვადით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ზემოთ დასახელებულ განკარგულებაში ასახული ვადის ცვლილება და მისი გაზრდა 15 წლამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 3 (თემურ ავალიანი, ვაჟა ბოლქვაძე და რამინ ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №16).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, სადაც შეტანილია 22 ერთეული ქონება. საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში შეტანილია ერთი ერთეული ქონების, კერძოდ: სოფელ გულებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 293 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.34.501). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1700 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. სადაც განთავსდება საწარმოო დანიშნულების და მომსახურების ობიექტი, რომელშიც დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და მცირე საწარმოს ან, მომსახურების ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი №20 ქონების, ყოფილი უნივერმაღის საწყობის ფართი დაზუსტდა და ნაცვლად 139 კვ. მეტრისა შეადგინა 119,9 კვ. მეტრი, შესაბამისად შემცირდა შეფასების თანხა და ნაცვლად 8360 ლარისა შეადგინა 7793,5 ლარი. ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია სამი ერთეული ქონება (№15; №18; №19) რომლებიც გაყიდულია ელექტრონული აუქციონის გზით. კერძოდ: დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქ. №7-ში მდებარე 96,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.33.325), სოფ. ზესოფელში (კოლომბრისი) მდებარე 150,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.06.32.177) და ვტომანქანა უაზი-31519 (WWS-979). ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებული დანართიდან უნდა განხორციელდეს მე-15; მე-18 და მე-19 ნუმერაციით არსებული ქონების ამოღება.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დამტკიცებულ ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხაში ცვლილების შეტანა კერძოდ, დანართი №1-ს ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილია განკარგულების პროექტზე თანდართული რედაქციით, რომლის შესაბამისად საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობა განისაზღვრა 20 - ერთეულად და წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულების განუყოფელ ნაწილს (შემოსული დოკუმენტი №41/04 15.05.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №17).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსიმა შოთა ბერიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №27/04 13.03.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ მოითხოვა განმარტება, თუ რატომ არ იყო შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გულების და ზენდიდის წყალსადენი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში იგეგმება წყალსადენების შესწავლა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 2 (ვაჟა ბოლქვაძე და რამინ ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №18).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №37/04 30.04.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №19).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ 13:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **რომან დავითაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**